მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოება ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში[1]

ქვეყნები	ძირითადი მარეგულირებელი აქტი (აქტები)	დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე/საქმის გამოკვლევაზე პასუხისმგებელი ორგანო	დისციპლინური საქმის არსებითად განმხილველი ორგანო	სამართალწარმოების ვადები/ხანდაზმულობის ვადები	დაცვის უფლებები	დისციპლინური სამართალწარმოების საჯაროობა/ კონფიდენციალურობა	დისციპლინური სახდელის სახეები	გარემოებები, რომლებიც მხედველობაში მიიღება დისციპლინური სახდელის შეფარდებისას	გადაწყვეტილების გასაჩივრება
1. ალბანეთი	2001 წლის კანონი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოწყობისა და ფუნქციონირების თაობაზე. 2008 წლის კანონი სასამართლო ხელისუფლების მოწყობის შესახებ.	მოკვლევას ახორციელებს იუსტიციის სამინისტრო ან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინსპექცია, ხოლო დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე იუსტიციის საბჭოს შუამდგომლობით მიმართავს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინსპექცია, ან იუსტიციის მინისტრი[1]	იუსტიციის უმაღლესი საბჭო[2]	დისციპლინური სამართალწარმოება შეიძლება დაიწყოს გადაცდომის გამოვლენიდან 1 წლის ხოლო ჩადენიდან ხუთი წლის ვადაში (მუხ. 34.2). მძიმე დარღვევებზე ნასამართლობა გაქარწყლდება სამ წელიწადში ხოლო ნაკლებად მძიმე დარღვევებზე ორ წელიწადში სანქციის დაკისრებიდან. (მუხ. 33.6).	დისციპლინურ სამართალწარმოება დაქვემდებარებულ მოსამართლეს აქვს უფლება: 1. დეტალურად და გასაგებად ეცნობოს დისციპლინური ბრალდების ფაქტობრივი და სამართლებრივი მხარე, ისევე როგორც ინსპექტორი რომელსაც დაეწერა მისი საქმე 2. წარმოადგინოს მოთხოვნები და შუამდგომლობები 3. გაეცნოს დისციპლინურ საქმეში არსებულ მასალებს და წარმოადგინოს მტკიცებულებები 4. ისარგებლოს ადვოკატის ან კოლეგის დახმარებით სამართალწარმოების დროს და მოსმენილ იქნას მისი თანდასწრებით (მუხ. 35).		საყვედური, საყვედური გაფრთხილებით, დაბალი ინსტანციის სასამართლოში გადაყვანა ერთიდან ორ წლამდე, ტერიტორიულად სხვა სასამართლოში გადაყვანა ერთიდან ორ წლამდე, სამსახურიდან გათავისუფლება. მუხ. 33.		საჩივრდება მაღალ სასამართლოში.
2. ბოსნია	ბოსნიის 2013 წლის კანონპროექტი იუსტიციისა და პროკურატურის საბჭოს შესახებ	გამოძიებას და დევნას აწარმოებს იუსტიციის და პროკურატურის საბჭოს მიერ შერჩეული დისციპლინური პროკურორი, რომელსაც შეარჩევს საბჭო. მას უნდა ჰქონდეს სულ მცირე 5 წლის იურიდიული პროფესიით მუშაობის გამოცდილება , მაღალი რეპუტაცია და წარმოადგენდეს სამართლის ექსპერტს (მუხ. 72). თუ სამართალწარმოების დროს მოხდა მისი აცილება, საბჭო დაიქირავებს სხვა პირს მოკვლევის ჩასატარებლად (მუხ. 72 (4). ყველა სასამრთლო ვალდებულია პროკურორს მიაწოდოს ყველა დოკუმენტი მოთხოვნისთანავე. პროკურორს აქვს უფლება გააფორმოს შეთანხმება მოსამართლესთან პასუხისმგებლობის აღიარების თაობაზე (მუხ. 77)	საქმეს იხილავენ მოსამართლეთა სამკაციანი კოლეგიები ორი ინსტანციით. პირველი ინსტანციის სამი კოლეგიის და მეორე ინსტანციის ორი კოლეგიის წევრებს თითოეული სასამართლოს მიერ წარდგენილი კანდიდატურების საფუძველზე ირჩევს იუსტიციის საბჭო (მუხ. 65).	დევნის ხანდაზმულობის ვადაა 5 წელი. საქმისწარმოება უნდა დასრულდეს განცხადების მიღებიდან 1 წლის ვადაში.	უფლება იყოს ინფორმირებული ბრალდების და მტკიცებულებების თაობაზე და გასცეს წერილობითი და ზეპირი პასუხი. უფლება საქმის სამართლიან დასაჯარო განხილვაზე კანონით შექმნილი მიუკერძოებელი კოლეგიის მიერ, უფლება არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის საწინააღმდეგოდ, და უფლება ადოკატზე, მის წინააღმდეგ მიღებული ყველა გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება (მუხ. 76)	დევნის არ აღძვრის გადაწყვეტილება ქვეყნდება მოსამართლის თანხმობით. დისციპლინური სხდომა საჯაროა. სხდომა შეიძლება დაიხუროს მორალის, საჯარო წესრიგის, ეროვნული უსაფრთხოების, არასრულწლოვანის ან მხარეთა პირადი ცხოვრებიდან გამომდინარე უფლებების დასაცავად, ან სხვა შემთსხვევებში, როცა კოლეგია ჩათვლის რომ სხდომის საჯაროობა ზიანს მოუტანს მართლმსაჯულების ინტერესებს (მუხ. 76) .	კერძო საყვედური, საჯარო საყვედური, ხელფასის დაქვითვა 50 პროცენტამდე ოდენობით 1 წლამდე ვადით; სხვა სასამართლოში დროებითი ან მუდმივი გადაყვანა; სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლება, თანამდებობიდან გათავისუფლება (მუხ. 68).	დისციპლინური სახდელის დაკისრება უნდა მოხდეს პროპორციულობის პრინციპის დაცვით. მხედველობაში მიიღება შემდეგი გარემოებები: დისციპლინური გადაცდომების რაოდენობა და სიმძიმე და მათი შედეგები; პასუხისმგებლობის ხარისხი; გადაცდომის ჩადენის გარემოებები; მოსამართლის წინარე სამუშაო და მისი ქცევა; სხვა ნებისმიერი გარემოება, რომელიც გავლენას ახდენს სახდელზე, მათ შორის მოსამართლის მიერ პასუხისმგებლობის შეგრძნება და თანამშრომლობა სამართალწარმოების დროს (მუხ. 69). მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება დასაშვებია მხოლოდ მძიმე დარღვევისას როცა დადგინდება მძიმე დისციპლინური გადაცდომის ჩადენა და მისი სიმძიმე მკაფიოდ ადასტურებს, რომ არ შეესაბამება ან არ არის ღირსი იკავებდეს მოცემულ თანამდებობას (მუხ. 69 (2)	კოლეგიის გადაწყვეტილება საჩივრდება საბჭოში.
3. ბულგარეთი	სასამართლო სისტემის შესახებ 2007 წლის კანონი. 2012 წლის რეგულაცია მართლმსაჯულებ ის უმაღლესი საბჭოს ორგანიზაციისა და ადმინისტრირების თაობაზე.	1. სასამართლოს თავმჯდომარე 2. მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭოს გენერალური ინსპექცია 3. მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭოს წევრთა 1/5 4. იუსტიციის მინისტრი (მუხ. 312)	საყვედურისა და გაკიცხვის დაკისრების უფლებამოსილება აქვს სასამართლოს თავმჯდომარეს, ხოლო სხვა სანქციებს აკისრებს მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭო (მუხ. 314). თუ სასამართლოს თავმჯდომარე თვლის, რომ არსებობს მძიმე სანქციის გამოყენების საფუძველი, ის შეაჩერებს წარმოებას და შესაბამისი რეკომენდაციით მიმართავს საბჭოს.	კოლეგიამ გადაწყვეტილება უნდა შეადგინოს სხდომიდან 14 დღეში 319-ე მუხლის პირველი ნაწილი დისციპლინური წარმოება უნდა დაიწყოს 6 თვის ვადაში გადაცდომის გამოვლენიდან და 2 წლის ვადაში მისი ჩადენიდან. მუხ. 310 (1). დისციპლინური საქმისწარმოება უნდა დასრულდეს დაწყებიდან 3 თვეში. ამ ვადაში არ ითვლება დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული პირის ოფიციალურ	ბრალდებულს აქვს უფლება ადვოკატზე. 318-ე მუხლის მეორე ნაწილი	დისციპლინური სახდელის ძალაში შევლამდე აკრძალულია დისციპლინური საქმის გარემოებების გამჟღავნება. სადისციპლინო კოლეგიის სხდომები დახურულია (მუხ. 314) სახდელის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილება ქვეყნდება საბჭოს ვებსაიტზე (მუხ. 324)	1.საყვედური 2. გაკიცხვა 3. ხელფასის დაქვითვა 10-დან 25 პროცენტამდე 6 თვის ვადით 4. სამსახურიდან დაქვეითება ან რანგის დაქვეითება ერთიდან სამ წლამდე 5.თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლება	გადაცდომის სიმძიმე, ბრალის ფორმა, პირის ქმედება და გარემოებები, რომლებშიც ის იქნა ჩადენილი (მუხ. 309)	საჩივარს მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებაზე განიხილავს უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს სამ წევრიანი კოლეგია. მოსამართლის გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება უზენაესი სასამართლოს

[1] 2001 წლის კანონი, მუხ. 31
[2] 2001 წლის კანონი, მუხ. 33

	საქმისწარმოებისა ს ასევე გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებები (მუხ. 328).		მოსამართლეთა უმაღლესი საბჭოს სადისციპლინო კოლეგია შედგება 7 წევრისგან (მასში ასევე შედიან პროკურორებიც და ის იხილავს მოსამართლეთა და პროკურორთა დისციპლინურ საქმეებს). (საბჭოს რეგულაცია მუხ. 23) მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გადაეცემა საბჭოს სრულ შემადგენლობას დასამტკიცებლად, რომელიც უფლებამოსილია დაამტკიცოს, ან შეცვალოს ან არ დაამტკიცოს გადაწყვეტილება. სასამართლოს თავმჯდომარე მის მიერ გამოყენებული სანქციის შესახებ აცნობებს საბჭოს, რომელიც უფლებამოსილია საქმის მასალების მიღებიდან 1 თვის ვადაში გააუქმოს, შეცვალოს ან ძალაში დატოვოს ეს გადაწყვეტილება. როგორც საბჭო, ასევე კოლეგია გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უმრავლესობით (მუხ. 320-319)	შვებულებაში ყოფნის პერიოდი (მუხ. 310) სახდელი გაქარწყლებულად ითვლება მისი აღსრულებიდან 1 წლის ვადაში (თანმდებობიდან გათავისუფლების გარდა) შესაძლებელია მისი ვადამდელი გაქარწყლებაც მოკვლევის ორგანოს ინიციატივით.		6. სამსახურიდან გათავისუფლება (მუხ. 308)		სამკაციანი კოლეგიიდან საჩივრდება ხუთკაციან კოლეგიაში (მუხ. 323).
4. გაერთიანებული სამეფო	სამოსამართლო ქცევის წესები - Judicial conduct rules 2014 სამოსამართლო დისციპლინის რეგულაცია - judicial discipline regulations 2014 დამტკიცებული ლორდი კანცლერის და ლორდი მთავარი მოსამართლის მიერ.	საქმეს იძიებს მოსამართლეთა ქცევის საგამოძიებო სამსახური მოქალაქის, ლორდი კანცლერის, ომბუდსმენის ან მოსამართლის მიმართვის საფუძველზე. ასევე საქმე შეიძლება გამოიძიოს დელეგირებულმა მოსამართლემ ან გამომძიებელმა მოსამართლემ (JCR მუხ. 19) რომლებსაც ნიშნავს ლორდი კანცლერი. რეგულაციები დეტალურად მიმოიხილავენ, თუ რა შემთხვევაში იქნება ცნობილი დაუშვებლად. ამასთან გამოძიების მოსამართლე ან ნომინირებული მოსამართლე უნდა იყოს იმავე ან უფრო მაღალი რანგის, ვიდრე ბრალდებული მოსამართლე (მუხ. 9-10) ან იძიებს დისციპლინური კოლეგია, რომელიც შედგება ლორდი მთავარი მოსამართლის მიერ დანიშნული 1 მოსამართლე და ლორდი კანცლერის მიერ დანიშნული 2 არამოსამართლე წევრისგან.	მოკვლევის ორგანოს რეკომენდაციის საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებენ ლორდი კანცლერი და ლორდი მთავარი მოსამართლე (მუხ. 15)		საგამოძიებო სამსახური საჩივარს და მასალებს გადაუგზავნის მოსამართლეს და აძლევს 20 დღეს შეპასუხების წარმოსადგენად. მოსამართლეს უნდა გადაეცეს ყველა მტკიცებულება, რაც არის საქმეში (მუხ. 65)	ლორდი მთავარი მოსამართლე და ლორდი კანცლერი თავად წყვეტენ გადაწყვეტილების პუბლიკაციის საკითხს (მუხ. 18 JDR)			ახლად აღმოჩენილი გარემოებების გამო შესაძლებელია საქმისწარმოება განაახლოს დელეგირებულმა მოსამართლემ (JCR, მუხ. 90)
5. გერმანია		დისციპლინურ საქმეს აღძრავენ სასამართლოს თავმჯდომარეები, ხოლო სერიოზულ დარღვევებზე იუსტიციის სამინისტრო. გამოძიებას ატარებს მოსამართლე, რომელიც სპეციალურად ინიშნება ამ საქმეზე.	შენიშვნის დაკისრების უფლებამოსილება აქვს სასამართლოს თავმჯდომარეს. სხვა შემთხვევაში საქმეს განიხილავს და სახდელს აკისრებს მოსამართლეების საქმეთა განმხილველი სასამართლო.				გაფრთხილება, ჯარიმა ერთი თვის ხელფასამდე ოდენობით, იმავე დონის სხვა სასამართლოში გადაყვანა, თანამდებობიდან გათავისუფლება.	მოსამართლის ქმედების სიმძიმე და მისი პიროვნული მახასიათებლები, აგრეთვე ზიანი, რომელიც მიადგა სასამართლოს რეპუტაციას, მოსამართლის მიერ საკუთარი ქმედების შეგნება და პასუხისმგებლობის განცდა, დისციპლინური სამართალდარღვევის ჩადენის ხანგრძლიობა	
6. ესპანეთი	1985 წლის ორგანული კანონი სასამართლოს შესახებ	საქმეზე გამოძიებას ატარებს იმავე ინსტანციის სასამართლოს მოსამართლე, რომელიც ინიშნება გამომძიებლად (მუხ. 423-4) გამომძიებელი მოსამართლე აგროვებს მტკიცებულებებს, თავად აყალიბებს ბრალდებებს და წარუდგენს მოსამართლეს, იღებს მისგან შეპასუხებას და ამის შემდეგ წყვეტს საკითხს საქმის არსებითი განხილვისთვის გადაცემის თაობაზე.	გაფრთხილების მიცემის უფლებამოსილება აქვს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და მაღალი ინსტანციის სასამართლოების თავმჯდომარეებს (მუხ. 421) (გაფრთხილების მიცემა ხდება სუმარული - დაჩქარებული პროცედურის გამოყენებით). მცირემნიშვნელოვან დარღვევებზე ჯარიმის შეფარდება შეუძლიათ უზენაესი სასამართლოს და მაღალი ინსტანციის სასამართლოების პალატებს. მძიმე დარღვევების განხილვის უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მართლმსაჯულების საბჭოს სადისციპლინო კოლეგიას. განსაკუთრებით მძიმე დარღვევების განხილვის უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მართლმსაჯულების გენერალურ საბჭოს (მუხ. 421-2, დ)	განსაკუთრებით მძიმე დარღვევებზე სამართალწარმოება ვერ დაიწყება გადაცდომის ცადენიდან 2 წლის, ხოლო მძიმე დარღვევებზე 1 წლის გასვლის შემდეგ. დისციპლინური ნასამართლობის გაქარწყლების ვადებია 6 თვე ჯარიმის ხოლო ერთი, ორი და ოთხი წელი სხვა სანქციების შემთხვევაში გადაცდომის სიმძიმის მიხედვით.			ა. გაფრთხილება ბ. ჯარიმა 6000 ევრომდე ოდენობით გ. იძულებითი მივლინება მინიმუმ 100 კმ. მოშორებულ სასამართლოში დ. უფლებამოსილების შეჩერება 3 წლამდე ვადით დ. თანამდებობიდან გათავისუფლება (მუხ. 420) მსუბუქი და მძიმე დარღვევები ისჯება მხოლოდ გაფრთხილებით ან ჯარიმიტ, ხოლო განსაკუთრებით მძიმე დარღვევები უფლებამოსილების შეჩერებით, იძულებით მივლინებით ან სამსახურიდან გათავისუფლებით. მძიმე დარღვევები ისჯება მხოლოდ ჯარიმით		

7. იტალია	2006 წლის კანონი მაგისტრატთა დისციპლინური პასუხისმგებლობის თაობაზე	დისციპლინური საქმის გამოკვლევას იუსტიციის მინისტრის მოთხოვნის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით ახორციელებს საკასაციო სასამართლოს გენერალური პროკურორი (მუხ. 16)	საქმეს არსებითად იხილავს მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს სადისციპლინო სექცია (მუხ. 18)	წინასწარი მოკვლევა უნდა დასრულდეს ერთი წლის ვადაში და ასევე საქმის არსებითი განხილვაც ერთი წლის ვადაში. (მუხლი 15.2).	სამართალწარმოების დაწყებიდან 30 დღეში უნდა ეცნობოს ბრალდებულ მოსამართლეს ბრალდების თაობაზე და უფლება აქვს იყოლიოს ადვოკატი (მუხლი 15.4).	საქმის განხილვა არის საჯარო, მაგრამ შეიძლება დაიხუროს მხარეთა მოთხოვნით.	საყვედური, სტატუს შემცირება 2 თვიდან 2 წლამდე, მმართველობითი საქმიანობის დროებითი აკრძალვა, უფლებამოსილების შეჩერება სამი თვიდან 2 წლამდე, თანამდებობიდან გადაყენება. გადაცდომათა ერთობლიობის დროს, როცა გამოიყენება რამოდენიმე სხვადასხვა სიმძიმის სახდელი, საბოლოოდ პირს შეეფარდება მათ შორის ყველაზე მძიმე, ხოლო ერთნაირი სახდელების შემთხვევაში ერთი საფეხურით უფრო მძიმე სახდელ.		მხარეები უფლებამოსილი არიან მაგისტრატურის საბჭოს სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება გაასაჩივრონ საკასაციო სასამართლოში, რომელიც საჩივარს განიხილავს მიღებიდან 6 თვეში (მუხ. 24) საჩივარი ახლად აღმოჩენილი გარემოებების გამო გადაწყვეტილების გადახედვის თაობაზე შეიძლება შეტანილი იქნას მაგისტრატურის უმაღლეს საბჭოს სადისციპლინო სექციაში (მუხ. 25)
8. მაკედონია	სასამართლო საბჭოს მიერ 2007 წლის 30 იანვარს მიღებული რეგულაცია მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის თაობაზე.	სასამართლო საბჭოს წევრი, სასამართლოს თავმჯდომარე (მუხ. 4)	მართლმსაჯულების საბჭოს 5 კაციანი კოლეგია (მუხ. 7) კოლეგია მტკიცებულებებს აგროვებს საქმის არსებით განხილვამდეც. კოლეგია წინადადებით მიმართავს საბჭოს საქმის წარმოების გაგრძელების ან შეწყვეტის თაობაზე. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს დამწრეთა უმრავლესობით. საბჭოს გადაწყვეტილების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში კოლეგია არსებითად იხილავს საქმეს (მუხ. 14). საქმის განხიხლვის შედეგად კოლეგია საბჭოს მიმართავს წინადადებით დისციპლინური დევნის შეწყვეტის ან პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე (მუხ. 21).	დისციპლინური დევნის ხანდაზმულობის ვადაა 3 თვე გადაცდომის გამოვლენიდან და 1 წელი მისი ჩადენიდან (მუხ. 4)	კოლეგია საქმის მასალებს უგზავნის მოსამართლეს და აძლევს მას 8 დრიან ვადას შეპასუხებისთვის.	დისციპლინური პროცედურა არის სრულად კონფიდენციალური, რაც მიზნად ისახავს მოსამართლის ღირსებისა და რეპუტაციის დაცვას (მუხ. 3)	1. წერილობითი გაფრთხილება 2. საჯარო საყვედური 3. ხელფასის დაქვითვა 15-დან 30 პროცენტამდე 1 დან 6 თვის ვადით (მუხ. 23).	დისციპლინური გადაცდომების რაოდენობა და მათი შედეგები, ბრალის ხარისხი, ჩადენის გარემოებები, მოსამართლის სამსახურებრივი მოსწრება და ქცევა, მოსამართლის თანამშრომლობა სადისციპლინო საქმის წარმოებისას (მუხ. 24) თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას საბჭო იღებს სრული შემადგენლობის 2/3 ის უმრავლესობით (მუხ. 26)	საბჭოს გადაწყვეტილება მოსამართლის ბრალეულად ცნობის და სახდელის დაკისრების თაობაზე საჩივრდება უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიაში, რომელიც იქმნება საბჭოს გადაწყვეტილების მიღებიდან 8 დღის ვადაში.
9. მონტენეგრო	2011 წლის კანონი სამოსამართლო საბჭოს შესახებ 2011 წელს მიღებული სასამართლო საბჭოს წესები.	დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების თაობაზე სადისციპლინო კოლეგიაში შუამდგომლობის შეტანის უფლება აქვს პირველი, ზემდგომი და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეებს (მუხ. 54). დისციპლინურ საჩივარზე მოკვლევას ატარებს შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარე, რომელიც თავის დასკვნას უგზავნის სადისციპლინო კოლეგიას	საქმეს პირველი ინსტანციით არსებითად იხილავს სადისციპლინო კოლეგია, რომელსაც ირჩევს მართლმსაჯულების საბჭო 1 წლის ვადით. კოლეგიის თავმჯდომარე და მოადგილეები არიან ამავდროულად მართლმსაჯულების საბჭოს წევრები, ხოლო დანარჩენი წევრები ირჩევიან მოსამართლეთა რიგებიდან (მუხ. 51)	დისციპლინური სამართალწარმოება უნდა დაიწყოს მისი გამოვლენიდან 3 თვის ვადაში ხოლო უნდა დასრულდეს გაოვლენიდან 3 წლის ვადაში (მუხ. 58) სადისციპლინო კოლეგიამ წერილობითი გადაწყვეტილება უნდა შეადგინოს მიღებიდან 15 დღის ვადაში (წესები მუხ. 63).	სადისციპლინო კოლეგია თავმჯდომარის შუამდგომლობას დევნის დაწყების თაობაზე უგზავნის მოსამართლეს (კანონი, მუხ. 54) ბრალდება გადაეცემა მოსამართლეს რომელსაც აქვს უფლება 8 დღეში წარმოადგინოს შეპასუხება და იყოლიოს ადვოკატი, რომელიც უნდა იყოს იურისტი (წესები მუხ. 57).	საქმის ზეპირი განხილვა შეიძლება დაიხუროს მხოლოდ მოსამართლის მოთხოვნით (წესები მუხ. 59).	საყვედური და ხელფასის დაქვითვა 6 თვემდე ვადით 20 პროცენტამდე ოდენობით (მუხ. 52) თანამდებობიდან გათავისუფლება არ მოიაზრება დისციპლინურ სანქციის სახედ. თუ კოლეგია ადგენს, რომ სახეზეა მოსამართლის გათავისუფლების საფუძველი, ის წყვეტს საქმის წარმოებას და საქმის მასალებს უგზავნის საბჭოს.		კოლეგიის გადაწყვეტილება საჩივრდება საბჭოში (მუხ. 57)
10. ნიდერლანდები		უზენაესი სასამართლოს გენერალური პროკურორი	უზენაესი სასამართლოს პალატა			გადაწყვეტილებები ქვეყნდება პიროვნული მონაცემების დაშტრიხვით	გაფრთხილება, უფლებამოსილების შეჩერება, და თანამდებობიდან გათავისუფლება.		
11. კოსოვო	2010 წლის კანონი სასამართლო საბჭოს თაობაზე.	მოკვლევას ატარებს დისციპლინური პროკურორის სამსახური, რომლის დირექტორს კონკურსის წესით ნიშნავს საბჭო ხმათა 2/3 ის უმრავლესობით, რომელიც ასევე აგზავნის საქმეს სადისციპლინო კომიტეტში და უჭერს მხარს ბრალდებას. დისციპლინური პროკურორის სამსახური შედგება დირექტორის პროკურორის და ინსპექტორებისგან. ყველა მათგანი აირჩევა კონკურსის წესით. კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს სავალდებულო პირობებს რომლებიც დადგენილია კანონით მუხ. 47-48. საბაბი: დისციპლინური პროკურორის სამსახური დაიწყებს გამოძიებას, როდესაც სახეზეა დისციპლინური პროკურორის სამსახურში წარდგენილი ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირის განცხადება.	საქმეს არსებითად იხილავს მართლმსაჯულების საბჭოს 3 წევრიანი კოლეგია, რომლის 2 წევრი მოსამართლეა.		მოსამართლეს აქვს უფლება გაეცნოს საქმის ყველა მადალას და იყოლიოს ადვოკატი (მუხ. 36.3).	დისციპლინური საქმე არსებითად განიხილება დახურულ სხდომაზე (მუხ. 36.1).	1. საყვედური 2. საყვედური შესაბამისი რეკომენდაციის მიცემით 3. ხელფასიდან დაქვითვა 50 პროცენტამდე 4. თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე წინადადებით მიმართვა შესაბამისი ორგანოსადმი.		სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილება საჩივრდება მართლმსაჯულების საბჭოში. საბჭოს ის წევრი, რომელიც მონაწილეობდა კომიტეტის სხდომებში, მონაწილეობას ვერ მ იიღებს საჩივრის განხილვაში. საბჭო საჩივარს იხილავს სამ თვეში.

		დისციპლინური პროკურორის სამსახურს შეუძლია მოკვლევა დაიწყოს საკუთარი ინიციატივით, როცა არსებობს გონივრული საფუძველი იმის სარწმუნოდ, რომ მოსამართლემ ჩაიდინა გადაცდომა.							
12. პოლონეთი	2001 წლის კანონი საერთო სასამართლოების მოწყობის შესახებ . ასევე საქმისწარმოების დროს გამოიყენება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დებულებები (მუხ. 128)	დისციპლინური საქმეების მოკვლევასა და დევნას აწარმოებს დისციპლინური კომისიონერი, რომელსაც 4 წლის ვადით ირჩევენ სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეები (მუხ. 112) კომისიონერის მოადგილეებს ირჩევენ პირველი და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეები. დისციპლინურ კომისიონერს უფლება აქვს დისციპლინური საქმეები აღძრას როგორც თავისი ინიციატივით, ასევე სასამართლოების ეროვნული საბჭოს, იუსტიციის მინისტრის, უზენაესი სასამართლოს სააპელაციო (საოლქო სასამართლოების) თავმჯდომარეების ან სააპელაციო სასამართლოს ბორდის შუამდგომლობით. მათვე შეუძლიათ გაასაჩივრონ კომისიონერის მიერ დევნის შეწყვეტა. მოქალაქეებს უფლება აქვთ საჩივრით მიმართონ არა უშუალოდ დისციპლინურ კომისიონერს, არამედ ზემოთჩამოთვლილ თანამდებობის პირებს. პოლონეთში ყოველ 2 წელიწადში ხორციელდება სასამართლოების შემოწმება და შედეგების საფუძველზე შეიძლება აღიძრას დისციპლინური საქმე.	საქმეს არსებითად იხილავს მოსამართლეთა სამკაციანი კოლეგია, რომელიც ირჩევა წილისყრით. საქმეებს პირველი ინსტანციით განიხილავენ სააპელაციო სასამართლოს, ხოლო მეორე ინსტანციით საკასაციო ინსტანციის მოსამართლეები (მუხ. 110).	დისციპლინური წარმოება არ შეიძლება დაიწყოს თუ გადაცდომის ჩადენიდან გასულია 3 წელი, ხოლო მოსამართლეს სახდელი არ შეიძლება დაეკისროს, თუ გასულია 5 წელი (მუხ. 108) დისციპლინური ნასამართლობა გაქარწყლდება სახდელის დაკისრებიდან 5 წლის ვადაში. (მუხ. 124)	მოსამართლეს შეუძლია დამცველად აიყვანოს სხვა მოსამართლე ან ადვოკატი. (მუხ. 113). დევნის საფუძვლების შემოწმების შემდეგ კომისიონერი მოსამართლეს წარუდგენს წერილობით ბრალდებას. მოსამართლეს აქვს უფლება 14 დღეში წარადგინოს შეპასუხება და მოითხოვოს დამატებითი მტკიცებულებების გამოთხოვა (მუხ. 114)	საქმე განიხილება ღია სხდომაზე, თუმცა სასამართლოს შეუძლია დახუროს საქმე მორალის, სახელმწიფო უსაფრთხოების, საჯარო წესრიგის, მხარეთა კერძო ცხოვრების დაცვის მიზნებიდან გამომდინარე. სასამართლოს გადაწყვეტილება ყოველთვის ქვეყნდება.	საყვედური, შენიშვნა, სამსახურებრივი უფლებამოსილებიდან ჩამოშორება, თაანამდებობიდან გადაყენება თუ მოსამართლეს შეუწყდა უფლებამოსილება საქმის წარმოების დროს, საქმის განხილვა მაინც გრძელდება. სასამართლო თავის გადაწყვეტილებას აგზავნის იმ სახელმწიფო უწყებაში, სადაც ყოფილი მოსამართლე შემდგომში დაიწყებს მუშაობას (მუხ. 118)		იუსტიციის მინისტრს, ეროვნულ სასამართლო საბჭოს და დისციპლინურ კომისიონერს უფლება აქვთ დისციპლინური სასამართლოების გადაწყვეტილება გაასაჩივრონ ზემდგომ დისციპლინურ სასამართლოში (მუხ. 121). ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო დისციპლინური გადაწყვეტილება შეიძლება გადაიხედოს გამართლებულის საზიანოდ გადაწყვეტილების მიღებიდან 5 წლის ვადაში, ხოლო მის სასარგებლოდ ვადის შეუზღუდავადს (მუხ. 126).
13. რუმინეთი	2004 წლის კანონი მოსამართლეებისა და პროკურორების სტატუსის თაობაზე (კანონი I), 2005 წლის კანონი მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს თაობაზე (კანონი II)	წინასწარ შემოწმებას ატარებს სასამართლო ინსპექტორების სამსახური იუსტიციის მინისტრის ან საკასაციო სასამართლოს თავმჯდომარეს ან ნებისმიერი პირის მომართვის საფუძველზე. ინსპექტორებს კონკურსის წესით ირჩევს მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო (კანონი II) მუხ. 61).	საქმეს არსებითად იხილავს მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს სადისციპლინო კოლეგია,	დისციპლინური დევნის ხანდაზმულობის ვადაა 1 წელი დისციპლინური გადაცდომის ჩადენიდან (მუხ. 46 (8)	მოსამართლეს აქვს უფლება იყოლიოს ადვოკატი და ასევე მოითხოვოს მტკიცებულებათა გამოთხოვა (კანონი - II - მუხ 47)		1. გაფრთხილება 2. ხელფასის დაქვითვა 6 თვემდე 20 პროცენტამდე ოდენობით 3. დისციპლინური გადაყვანა სხვა სასამართლოში 1 წლამდე ვადით 4. უფლებამოსილების შეჩერება 6 თვემდე ვადით. 5. მაგისტრატურიდან გარიცხვა (კანონი II მუხ. 100)		საბჭოს კოლეგიის გადაწყვეტილება 15 დღის ვადაში საჩივრდება საკასაციო სასამართლოს 5 წევრიან პალატაში.
14. საფრანგეთი	1958 წლის ორგანული კანონი მაგისტრატურის სტატუსის შესახებ.	მაგისტრატურის საბჭოსადმი მიმართვის უფლება აქვთ იუსტიციის მინისტრს, სასამართლოების თავმჯდომარეებს და მოქალაქეს. იუსტიციის მინისტრი მოკვლევას ავალებს სასამართლოების გენერალურ ინსპექციას. მოქალაქის მიმართვას სწავლობს საბჭოს დასაშვებობის კომიტეტი, რომელსაც შეუძლია ასევე გამოძახოს და ახსნა-განმარტება ჩამოართვას მოსამართლეს და მომჩივანს. საქმის შესწავლის მიზნით საბჭოს სადისციპლინო კოლეგია ნიშნავს მომხსენებელს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ატარებს მოკვლევას და მასალებს წარუდგენს საბჭოს.	სადისციპლინო საქმეების განხილვის დროს მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს სხდომებს თავმჯდომარეობს საკასაციო სასამართლოს თავმჯდომარე.	საყვედური პირად საქმეში შეტანით; გარკვეული ფუნქციების ჩამოცილება; ერთპიროვნულად საქმის განხილვის აკრძალვა მაქსიმუმ 5 წლის განმავლობაში; რანგის დაქვეითება; უფლებამოსილების დროებით ჩამოცილება ერთ წლამდე ვადით ხელფასის გარეშე ან ნაწილობრივ შენარჩუნებით; რანგის დაქვეითება; პენსიაში იძულებით გაყვანა, უფლებამოსილების შეწყვეტა, როდესაც მაგისტრატს არ აქვს უფლება პენსიაზე; უფლებამოსილების შეწყვეტა		საქმის განხილვა საჯაროა მაგრამ შეიძლება დაიხუროს თუ ამას მოითხოვს საჯარო წესრიგი ან კერძო ცხოვრების საიდუმლოება ან სპეციალური გარემოებები, რის გამოც შეიძლება ზიანი მიადგეს მართლმსაჯულების ინტერესებს.			
15. სერბეთი	სერბეთის 2008 წლის კანონი მოსამართლეთა შესახებ დისციპლინური საქმისწარმოების 2010 წლის წესები.	დისციპლინური პროკურორი და მოადგილეები, რომლებსაც მოსამართლეებისგან ირჩევს იუსტიციის უმაღლესი საბჭო (მუხ. 93) დისც. პროკურორი ირჩევა სამი	დისციპლინური კომისია, რომლის წევრებს მოსამართლეებისგან ირჩევს საბჭო (მუხ. 94)		მოსამართლეს აქვს უფლება გაეცნოს საქმის მასალებს, მოამზადოს პასუხი და წერილობით წარადგინოს კომისიაში (მუხ. 96) მოსამართლეს აქვს	დიისციპლინური სამართალწარმოება დახურულია თუ მოსამართლე არ მოითხოვს მის საჯარო წარმართვას (წესები მუხ. 4).	1. საჯარო საყვედური 2. ხელფასის დაქვითვა 50 % მდე 1 წლის ვადით, თანამდებობრივი დაწინაურების შეზღუდვა 3 წლამდე ვადით (მუხ. 91)	დისციპლინური სანქცია უნდა შეესაბამებოდეს გადაცდომის სიმძიმეს. საჯარო საყვედური შეიძლება იქნას გამოყენებული მხოლოდ პირველ დისციპლინურ გადაცდომაზე	კომისიის გადაწყვეტილება საჩივრდება საბჭოში 8 დღეში გადაწყვეტილების მიღებიდან (მუხ. 97) საბჭომ საჩივარი უნდა განიხილოს მისი

	ასევე გამოიყენება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (წესები მუხლი 2).	წლის ვადით (წესები მუხ.5. დისც. პროკურორად, მოადგილედ შეიძლება დაინიშნოს მოსამართლე რომელსაც აქვს ათწლიანი სამოსამართლო გამოცდილება და რომელსაც არასოდეს შეფარდებია დისციპლინური სახდელი (წესები, მუხ. 9).			უფლება ჰყავდეს წარმომადგენელი მთელი პროცესის მანძილზე (წესები მუხ. 21). დისციპლინური კომისია პროკურორის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს და პასუხისგებაში მიცემის დადგწნილებას უგზავნის მოსამართლეს და აძლევა 8 დღიან ვადას საპასუხოდ (წესები მუხ. 24).			დისციპლინური სანქიის შეფარდებისას ასევე მხდელობაში მიიღება მოსამართლის წინარე ქცევა, მოსი პროფესიული საქმიანობა, მისი ქცევა დისციპლონური საქმის განხილვის დროს, და სხვა გარემოებები რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ დისციპლინური სანქციის გადაწყვეტაზე. (წესები, მუხ. 3)	მიღებიდან 30 დღეში, საბჭოს გადაწყვეტილება საბოლოოა. მართლმსაჯულების საბჭო საჩივარს იხილავს როგორც წესი ზეპირი განხილვის გარეშე (წესები მუხ. 30)
16. ხორვატია	1993 წლის კანონი სასამართლო საბჭოს თაობაზე. ასევე, შეიძლება გამოყენებული იქნას სისხლის სამართლის კოდექსი და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი	დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების თაობაზე შუამდგომლობის წარდგენის უფლება აქვთ სასამართლოს თავმჯდომარეებს და იუსტიციის მინისტრს (მუხ. 25). დისციპლინურ საქმეს იკვლევს სადისციპლინო კომიტეტი (შედგება სამი წევრისგან) რომლის წევრებს ნიშნავს საბჭო. მათგან ერთი მაინც უნდა იყოს მოსამართლე.	დისციპლინურ საქმეს არსებითად იხილავს სახელმწიფო სასასამართლო საბჭო, რომელიც შედგება პარლამენტის მიერ დანიშნული 7 მოსამართლე და 4 არამოსამართლე წევრისგან (მუხ. 4) საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით (მუხ. 66 (2)	დისციპლინური სამართალწარმოება არ შეიძლება დაიწყოს გადაცდომის გამოვლენიდან 6 თვის შემდეგ, ხოლო მისი ჩადენიდან 3 წლის შემდეგ, ხოლო არ შეიძლება აღსრულდეს მისი შეფარდებიდან 1 წლის შემდეგ. დისციპლინური ნასამართლობა გაქარწყლდება გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 2 (ხოლო ხელფასის დაქვითვის შემთხვევაში -3) წლის შემდეგ.			1. საყვედური 2. ხელფასის 1/3 ის დაქვითვა 1 წლამდე ოდენობით 3. სამსახურიდან გათავისუფლება	დარღვევის სიმძიმე და შედეგები, პასუხისმგებლობის დონე, გარემოებები, რომლებშიც გადაცდომა იქნა ჩადენილი, მოსამართლის საქმიანობა დისციპლინური გადაცდომის ჩადენამდე, სხვა გარემოებები, რამაც შეიძლება გავლენა იქონიონ შეფარდებულ სახდელზე (მუხ. 21-3)	

[1] შედგენილია მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის წევრის კახა წიქარიშვილის მიერ